



პროკურატურამ უკვე დაიწყო! დიმიტრი რამიშვილი ახალ პროექტს გეგმავს

— ეჭვები როგორ არ ყოფილა. აგერ, „სარბიელის“ ბოლო ნომრებს რომ ვაითხულობ, იქაც წერია რამდენიმე ასეთ მატჩზე. დიდი ინტერესით ვეცნობი ძველ მასალებს...

— ვფიქრობ, საკმაოდ დაძაბული ჩემპიონატი გვაქვს. ცხრილის თავშიც და ბოლოშიც დიდი ინტრიგაა. მივუბრუნდები შესაძლო ჩანყობებს და ვიტყვი, რომ როცა მეტად დაძაბული ვითარებაა, მით მეტია შანსი, იყოს ასეთი მატჩები...



ვისაუბროთ, რათა მოვიბოთ ქაფბაია ვერ ჩავიდა, დამატრახა ვერ ჩავა



საქართველოს ეროვნული ნაკრები გუშინ დღის მეორე ნახევარში, ჩვენი დროით, 17 საათზე ჩაფრინდა ჩრდილოეთ ირლანდიის მთავარქალაქ ბელფასტში და სასტუმრო „ვეროპაში“ დაბინავდა.

ხვალინდელი ამხანაგური მატჩი 21 ათასიან „უინდორ პარკზე“, სადაც ნაკრები დღეს ივარჯიშებს, გუშინ კი კლას ტოპმოლეურმა სხვა სარბიელზე ავარჯიშა შევირდები — ჩვენი დროით, 23 საათზე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს გუშინ ვარჯიშამდე დაეუკაცშირდით ბელფასტში და მისგან საინტერესო ცნობებიც მივიღეთ. კერძოდ: სწორედ დღეს გაიმართება ფეხბურთელების, მწვრთნელებისა და ფედერაციის ხელმძღვანელების კრება, სადაც ნაკრებში ბოლო დროს წარმოქმნილ პრობლემებზე იმსჯელებენ. ეს პრობლემები კი, იცით, მხოლოდ წმინდა სათამაშო სახისა არ არის, თუმც საბოლოოდ თამაშსა და შედეგზე რომ აისახება, თქმა რად უნდა...

— ფეხბურთელთა უმეტესობა უკვე ჩვენთანაა, თუმც დღეს

სრულად შეკრება ვერ მოხერხდა. ამჟამად ზოგი ლონდონშია და მოფრინავს, ზვალ ყველანი ბელფასტში იქნებიან.

— ლევან გობიაშვილის ამბავი ვიცით. მის გარდა კიდევ ხომ არ იქნება დანაკლისი?

— გიორგი დემეტრაძემ დროულად ვერ აიღო ვიზა და ისიც გამოგვაკლდა. დანარჩენები, უკლებლივ ყველანი, მატჩის წინა დღეს აქ იქნებიან.

— ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მუშაობა შესთავაზეთ თემურ ქეცბაიას და რამდენადაც ვიცით, შესაძლო იყო, ის ბელფასტში ჩამოსულიყო მოსალაპარაკებლად...

— არ ჩამოსულა. აპრილში მე მომიწევს მასთან ჩასვლა კვიპროსზე.

— როდის გაიმართება ნაკრების გაფართოებული კრება, სადაც პრობლემებზე უნდა იმსჯელოთ?

— სანამ ნაკრები სრულად არ შეიკრიბება, რა აზრი აქვს კრების ჩატარებას?! კრება ზვალ გვექნება და იმედი მაქვს, ყველა პრობლემაც მოგვარდება.

ილია ნანოგაშვილი

დღეს დატვიანსთან უჩვეულო მატჩია



ბოლო ტურის ფარსი მოვიპარჯვით რასია და... გაიტან, გაიტან!
იხილეთ 81-7 გვერდი

გადრი კაითილაბის ფოტო

გადრი კაითილაბის ფოტო



ხომ ვითომ ჩვეულებრივი ტური იყო, ხომ მოიგო ჩემპიონობისთვის მებროლმა სამივე გუნდმა და ჯამში 11 გოლიც გაიტანეს, ხომ არ გვინახავს სენსაციური შედეგი, მაგრამ... იმდენი არაჩვეულებრივი და აღსანიშნავი რამ მოხდა, საქართველოს ჩემპიონატის ერთი ტურისთვის მართლაც რომ სვავიანია...



ამერიელი გიორგი დეკანოსიძის პენალტი ბორჯომელმა სოსო გრიშვაშვილმა მოიგერია

პატივსაცემი ფოტო

არაჩვეულებრივი ამბების გაყოფენა

წაიშვებით დილას პენალტების სარიამი

არც ავთანდილ ცერცვაძე და არც ბესიკ კენჭუაშვილი „დილას“ ძირითადი მეკარეები არ არიან, თუმცა „ხესტაფონთან“ თითო პენალტი მოიგერიეს. პირველმა ბექა გოცირიძე გააწაწა, მეორემ კი — ედიკ საჯავა. ჰოდა, თუ როდესმე სათასო ბატალიებში „დილას“ გადაეყრებით, პენალტებამდე ნუ მიიყვანთ საქმეს...

ცერცვაძე „იოლას გადარჩა“, რაკიდა 22-ე წუთზე გააძევეს და გოლგაშვებელმა დატოვა მინდორი, ცოდო-ბრალი მის შემცვლელ კენჭუაშვილს შეემთხვა, ვინც პენალტი კი მოიგერია, მაგრამ მერე 32-წუთიან მონაკვეთში ხუთი გოლი გაუშვა გამძვინვარებული „ხესტაფონისგან“.

ტრავმები აქვთ ზურაბ იონანიძეს და ნიკა გელაშვილს, ჰოდა, თავდამსხმელთა საქმე იმერელთა ფლანგელმა ნახევარმცველებმა გააკეთეს: ბრაზილიელმა ვიერიამ ჰეთორი შეასრულა, ორიც ნიკა კვასხვაძემ დაამატა. თემურ მახარაძის „ხესტაფონი“ მესამე საფეხურზე დარჩა, „დილას“ კი ყველაზე ნაკლები გოლი გაუტანია, ყველაზე

ბევრი გაუშვია და ყველაზე ცუდ ადგილზეც მოთავსებულა.

პენალტ-გაძეგებების ამბები გავაგრძელოთ: „ბათუმის“ მეკარე ზვიად სტურუაც გააძევეს, მის ნაცვლად კარში ჩამდგარმა ირაკლი თოთლაძემ კი გორელ კოლეგებს ვერ მიჰბაძა და 11-მეტრიანი გაუშვა. სამაგიეროდ, „ბორჯომის“ სოსო გრიშვაშვილმა იკისრა „გორელობა“ და ამერელთა გიორგი დეკანოსიძეს არ გაატანინა პენალტი.

საინტერესო სტატისტიკა: ტურში დანიშნული ოთხი პენალტიდან სამი არ გავიდა; ორი მეკარე გააძევეს და კიდევ ერთი მინდვრის ფეხბურთელი, ბორჯომელი დავით კაკუბავა გააწითლეს.

30ტ ჯორჯია-12

ერთი მოგებაც და, „ვიტ ჯორჯიას“ 13-თამაშის მოგებათა სერია გამოუვა — ეს კი მთელი წრეა. „სიონთან“ ვიტელებმა პირველ ტაიმში იჯახირეს, მერე კი პანტაპუნტით მიყარეს გოლები და 4:0 იმარჯვეს, თუმცა „დინამოს“ ისევ ჩამორჩებიან.

მოგებათა სერიის რეკორდი ამ სეზონში „ხესტაფონს“ ეკუთვნოდა (11 მატჩი), ნესტორ მუმლაძის გუნდი კი მეცამეტე ცდას ბორჯო-

მში ჩაატარებს: იმ „ბორჯომთან“, რომელმაც შარშან ლამაზად მოუგო ვიტელებს და არც ახლა უნდა ჩანდეს ძალიან სუსტი — ყოველ შემთხვევაში, „ამერიან“ ასე გამოჩნდა...

ჩიმაშაძის სამაქლიანი

ზუსტად იმ დღეს და იმ წუთს, როცა „დილასთან“ მშვენივრად მოთამაშე ბექა გოცირიძემ პენალტი ვერ გაიტანა, მისმა მოგვარე რევაზმა შეაგლო და „ამერი“ „ბორჯომთან“ დააწინაურა — საინტერესო დამთხვევაა. გლდანურ მატჩში კიდევ ოთხი გოლი გავიდა და აქედან გადამწყვეტი იყო ბესიკ ჩიმაშაძის თავური — 90-ე წუთზე. ამ გოლმა „ამერი“ მეოთხე ადგილზე გაამაგრა, თუმცა „ყვითლები“ მალე კიდევ ორჯერ შეხვდებიან კურორტელებს და ამ თამაშებს უფრო დიდი ფასი ექნება — სათასო ნახევარფინალებია.

...მანამდე კი, „ბორჯომის“ გიორგი მეგრელაძემ ისეთი გაიტანა, მსოფლიოს ტოპფეხბურთელებიც რომ მოაწერდნენ ხელს...

შვილი ამის ჯალჯა: გიორგი მეგრელაძე მათხუთმაბე ასინია

როგორც სადღეგრძელოშია, სი-

ტყვამ მოიტანა და, გიორგი მეგრელაძის მიღწევაზე როგორ არ ვიტყვი: ეროვნულ ჩემპიონატში მათამდე 14 ფეხბურთელს ჰქონდა 100 და მეტი გოლი გატანილი, მეგრელაძე „ამერიან“ ლამაზად შესრულებულით მეთხუთმეტე გახდა. 29 წლის ფორვარდს ამ ნიშნულამდე ასვლისთვის 196 მატჩი დასჭირდა.

გიორგი მეგრელაძის მამამ, მერაბმა, ამ ნიშნულს 10 წლის წინ გადააჭარბა და 104 გოლი აქვს გატანილი. საქმეს ისეთი პირი უჩანს, შვილი გადაასწრებს მამას და ვინძლო,

ეს ამავე სეზონში მოახერხოს.

მათა ბიჭი და ლიღარი

„დინამომ“ ცხინვალის „სპარტაკს“ 2:1 მოუგო — ისევე, როგორც ორი კვირის წინანდელ სათასო მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში. დუბლი შეასრულა მათე ვაწაძემ, თანაც ემხიანი გოლებით და ეს 19 წლის ფორვარდი აღარ ხუმრობს: გაიხსენეთ, ბოლნისში „სიონთან“ ბოლო წუთებზე გადამწყვეტი გოლი და დარწმუნდებით, რომ „დინამოს“ ლიდერობაში ვაწაძეს ლიღარის წილი აქვს შეტანილი.

ილია ნანოზაშვილი

მგლები 0:0 ტოკომოტივი
მესხეთი 0:0 ოლიმპი
ხესტაფონი 5:0 დილა
ამერი 3:2 ბორჯომი
ვიტ ჯორჯია 4:0 სიონი
ბათუმი 0:2 მერანი
დინამო 2:1 სპარტაკი

დინამო	18	16	0	2	46:10	48
ვიტ ჯორჯია	18	15	1	2	35:9	46
ხესტაფონი	18	13	3	2	37:10	42
ამერი	18	10	2	6	29:20	32
ოლიმპი	18	9	4	5	17:12	31
ბორჯომი	18	8	4	6	24:20	28
მესხეთი	18	7	4	7	17:22	25
მგლები	18	7	3	8	16:19	24
სიონი	18	5	5	8	20:24	20
მერანი	18	5	1	12	10:27	16
სპარტაკი	18	4	4	10	8:20	16
ტოკომოტივი	18	3	4	11	10:24	13
ბათუმი	18	2	3	13	8:33	9
დილა	18	1	4	13	7:34	7

უმჯობესებულებები	
11 - მ. ხუციშვილი	დინამო
8 - მ. ნოდ. ჭაჭავაძე	ხესტაფონი
8 - ი. იონანიძე	ხესტაფონი
6 - ბ. ბაქრაძე	ხესტაფონი

მანხრამეძე გური
29 მარტი, შაბათი
დილა - ტოკომოტივი
ბორჯომი - ვიტ ჯორჯია
მერანი - ამერი
30 მარტი, პირა
სპარტაკი - ბათუმი
სიონი - მესხეთი
დინამო - მგლები
ოლიმპი - ხესტაფონი

მათა ვანაძე	დინამო	რევაზ გოცირიძე	ამერი	გიორგი მეგრელაძე	ბორჯომი
ზაზა სახოკია	ვიტ ჯორჯია	ჟილვან ვივირა	ხესტაფონი	ვაჟა გოცირიძე	ხესტაფონი
ლარი ხოსონიშვილი	მგლები	ლევან მარგალიტი	მესხეთი	გიორგი მგებანიშვილი	ამერი
სიმპოლური ნაბრები		მამსინა ძვილითაია	სპარტაკი		



მთბი დიკი

კუნთდაბარულმა და რეკორდომუსვრელმა ფრანგმა სპრინტერმა ალენ ბერნარმა პიტერ ვან დენ ჰუგენბანდის გაწბილება არ იკმარა და ეინდჰოვენში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დაამხო. პარასკევს და შაბათს ნახევარფინალურ და ფინალურ გაცურებებში ფრანგმა მოცურავე-ბოლიბილდერმა ვერ წარტაცა 100 თავისუფალი მეტრის რეკორდი ჰუგენბანდს, მერე კი თავადვე გააუმჯობესა, კვირას კი 50 მეტრსაც მისდგა და აქც დაამხო რეკორდი, რომელიც 100 მეტრის რეკორდისგან (2000 წელს დაამყარა ჰუგენბანდმა) განსხვავებით, სულ ცხელ-ცხელი გახლდათ — ავსტრალიელმა იმონ სალივანმა ერთი თვის წინ მოუხსნა რუს ალექსანდრ პოპოვის.

იყო. პირიქით, 100 მეტრის ძველი რეკორდი მართლა ძალიან ძველი იყო და, ჩემი აზრით, მისმა დამხობამ კიდევ დააგვიანა.
და ისევ პოპოვი — „100 მეტრის ფინალს უდიდესი ინტერესით ვუყურე. ერთი შეხედვით, ბერნარი სულაც არ მოგაგონებთ სპრინტერს, ის ძალიან დაკუნთული ჩანს ამისთვის. მაგრამ სამაგიეროდ ის ღონიერია და ტექნიკაც გადასარევი აქვს. შედეგის მიღმა მისი დიდი ნამუშევარი ჩანს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ დაამხოდა რეკორდს ნახევარფინალში და მით უმეტეს ვერ გააუმჯობესებდა ფინალში. მან მე ძლიერ დამაინტრიგა, გულახდითად რომ ვითხრათ. თუკი ადამიანმა 100 მეტრის პირველი 50 მეტრი 22,53 წამში გაცურა, მაშინ საესებით შესაძლებელია, რომ მეორე ნახევარი 24 წამში ჩაბთოს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ მისი რეკორდი, 47,50 წამი, დიდხანს ვერ გაუძლებს და 47 წამს ქვემოთაც დაეცემა.“
გლეხურად რომ ვთქვათ, პოპოვმა ბერნარზე ბრძანა, ეგ არის ვინც არისო, ოდნოდ მანამდე, სანამ ფრანგი 50 მეტრსაც დაამხოდა. საინტერესოა, მერე რაღა აზრი შეექმნებოდა რუსს, რომელიც საესებით სამართლიანად, ბარე 10 წელი ითვლებოდა 50 თავისუფალი მეტრის, ანუ ყველაზე სპრინტერული დისტანციის მეგავარსკვლავად.
ენდჰოვენში ევროპირველობა დასრულდა და იქ საინტერესო ბევრი მოხდა, თუმც სათითაოდ ჩამოსათვლელად გვეძნელება. ერთი ის ვთქვათ, რომ რუსმა ანასტასია ზუევამ 50 მეტრი გულაღმა 28,05 წამში გაცურა და ევროპის რეკორდი დაისაკუთრა. ცურვაში საკმაოდ მდიდარი ტრადიციების მქონე დიდი ბრიტანეთი კი საერთოდ უმედლოდ დარჩა.

ამერიის ტურნირი

Table with chess results and player names, including VI ტური, VII ტური, and VIII ტური.

თსუთმეგსპლიანი ქულა



მაგნუს კარლსენი

შეჯიბრის დასრულებამდე სამი ტურით ადრე, ცხრილს 10,5 ქულით ლევონ არონიანი ლიდერობს და მეორეზე ასკუპებულ მაგნუს კარლსენს მთელი ქულით უსწრებს.
სომეხმა მერვე ტურში მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო. მან ტურნირის ფავორიტს და ფიდეს პირველ ნომერ ვიშვანათან ანანდს 1,5 ქულა აართვა და მეტოქე მეხუთეზე ჩაუშვა.
„ბრმა“ პარტია არონიანმა ლაზიერის გამბილით დაიწყო, მეხუთე სვლაზე კუ მხედარში გაცვალა და ცენტრიდან პაიკებით შუუტა. თითოეულმა ასპარეზზე ეტლებიც გამიყვანეს, ე დიაგონალზე გამსვლელი პაიკი დააყენეს და 50-ე სვლაზე მერიფასი ქულაც აიღეს.
სწრაფი შეხვედრა ანანდმა ყოჩაღად დაიწყო, თუმც პატარა-პატარა იერიშებით არონიანმა ყვე-

რაგბი

ერთმართიანი სისხარული

ზე-14-ის მეექვსე ტურში გათამაშების ერთპიროვნული ყოჩი „კრუზიედერზი“ კრისტინერიში ავსტრალიურ „ვარათაზს“ დაუხვდა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მატჩმა უდიდამოდ ჩაიარა. შეიძლება ითქვას, რომ 52-ე წუთამდე ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით დენ კარტერის 2 საჯარიმოს, რისი წყალობითაც მასპინძლებს ანგარიში მიჰყავდათ. მეორე ნახევრის მე-12 წუთზე ავსტრალიელებმა ლელო გაიტანეს, რომელიც ვუკლიფ პელუს ანგარიშზეა. სტუმრებმა გარდასახვაც გამოიყენეს და 7:6 დაწინაურდნენ, მაგრამ მათმა სისხარულმა სულ ერთი წუთი გასტანა. ვერ ლაულალამ, შემდეგ ტუიალიმ, კროკეტმა და ჰამილტონმა დაალელოვეს მოწინააღმდეგე კარტერი ოთხივე გარდასახვისას ზუსტი იყო.
„ბლუზისა“ და „მტორმეზის“ შეხვედრაში მატჩის ბედი ბენ ატი-

კობა ყორხია

სარბიელი სპორტული გაზეთი. გამომცემელი ზურაბ შროსვერიანი. ლირექტორი ბიორბი ოძროძე. მთავარი რედაქტორი ბიორბი ღარიპაძე.